



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### არშუშა

არშუშა, ქართლის ერისმთავარი VII ს. ბოლოს. მოხსენიებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ შესულ „დიდ ერისთავთა“ სიაში კურაპალატის ტიტულით და აგრეთვე აბასთუმნის ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაში ბიზანტ. იმპ. იუსტინიანე II-ის მმართველობის პირველ პერიოდში (685–695) „ქართველთა ერისთავად“, „მამფლისა“ და „პატრიკოსის“ ტიტულებით. ა-ს ბიზანტ. ტიტულები მოწმობენ, რომ ქართლი ამ პერიოდში ბიზანტ. პოლიტ. გავლენის ქვეშ ყოფილა, რაც 689 ბიზანტია-სახალიფოს ზავის პირობებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, [წგ.] 1, ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980.

**ა. ბოგვერაძე**

---